

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
პლაზა +

ფინანსურ ანგარიშგება

2021 დასრულებული წლისათვის

რაც მიცავს პერიოდს

01.I.2021 დან ~ 31.XII.2021 მდე

თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებული და
წარდგენილია

საქართველოს ეროვნულ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია

მცირე და საშუალო საწარმოების

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

თბილისი,

ი.ვეკუას 14

2022 წ.

შპს პლაზა+ (ინდივიდუალური)
2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 1 ლარი	2020 1 ლარი	2021 1 ლარი
ამონაგები	4	1,046,317	813,434	1,251,038
სხვა შემოსავალი	5	15,518	11,315	6,218
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-	-183	-45,359	-1,032
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა	-	-208,806	-219,253	-233,877
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	-284,028	-291,072	-274,545
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	0	0	0
სხვა ხარჯები	6	-552,368	-469,920	-756,152
ფინანსური დანახარჯები	-	0	0	-219,664
მოგება დაბეგვრამდე	-	16,450	-200,855	-228,014
მოგების გადასახადის ხარჯი	7	0	0	0
მიმდინარე წლის მოგება	-	16,450	-200,855	-228,014

საწარმოს დირექტორი
 კონსტანტინე რაზმაზიშვილი

შპს პლაზა+ (ინდივიდუალური)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნა	2019 1 ლარი	2020 1 ლარი	2021 1 ლარი
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	-	43,239	110,702	412,058
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	435,074	224,319	91,014
წინასწარ გადახდილი გადასახადი	-	0	0	0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	153,862	31,955	50,578
		632,175	366,977	553,650
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	10	10,894,540	21,044,540	0
ძირითადი საშუალებები	11	5,739,229	5,999,386	5,750,395
არამატერიალური აქტივები	12	1,028	1,028	1,028
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	0	0	0
	-	16,634,797	27,044,953	5,751,423
სულ აქტივები	-	17,266,971	27,411,930	6,305,073
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	13	15,069	6,924	62,430
გადასახდელი პროცენტი	-	0	0	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	-587	872	5,849
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	-	0	0	-1,927
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	0	0	0
	-	14,482	7,795	66,352
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი	-	0	0	0
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოები	-	0	0	0
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	0	0	0
	-	0	0	0
სულ ვალდებულებები	-	14,482	7,795	66,352
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	14	16,926,190	27,278,690	6,341,290
გაუნაწილებელი მოგება	-	326,300	125,445	-102,569
		17,252,489	27,404,135	6,238,721
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		17,266,971	27,411,930	6,305,073

საწარმოს დირექტორი
კონსტანტინე რაზმაზიშვილი



შპს პლაზა+ (ინდივიდუალური)
2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 1 ლარი	2020 1 ლარი	2021 1 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
საიჯარო შემოსავლობები	-	1,344,060	842,710	1,385,024
მიწოდებიდან შემოსულობები	-	-	-	-
სხვა შემოსულობები	-	43,239	48,253	96,730
გაცემული ხელფასები	-	223,280	172,232	181,914
გადახდილი გადასახადები	-	210,670	115,724	191,224
გაცემული მომწოდებლებზე	-	874,497	718,816	802,886
გაცემული საქვენგარიშო პირზე	-	3,696	21,426	15,936
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	1,693	2,538	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	-	744	339	1,037
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	72,720	- 135,037	288,756

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალების შეძენა	-	49,342	-	-
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	-	-	-
ინვესტირება შვილობილ საწარმოში	-	5,716,624	10,150,000	6,350,000
მიღებული დივიდენდი	-	-	-	-
მიღებული პროცენტები	-	-	-	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	- 5,765,966	- 10,150,000	6,350,000

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
საწესდებო კაპიტალის შემოტანა	-	5,683,624	10,352,500	6,362,600
ნასესხები სახსრების გადახდა	-	-	-	-
პროცენტის გადახდა	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	5,683,624	10,352,500	6,362,600

ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისის	-	52,861	43,239	110,702
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	-	43,239	110,702	412,058

301,356

301,356

საწარმოს დირექტორი
კონსტანტინე რაზმაზიშვილი

შპს პლაზა+ (ინდივიდუალური)
2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	საწყესებო კაპიტალი 1 ლარი	აკუმ. მოგება 1 ლარი
კაპიტალი 2019 წ. 31 დეკემბრით	-	16,926,190	326,300
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	200,855
პერიოდის დივიდენდები	-	-	-
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	-	-
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	10,352,500	-
კაპიტალი 2020 წ. 31 დეკემბრით	-	27,278,690	125,445
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	228,014
პერიოდის დივიდენდები	-	-	-
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	- 27,300,000	-
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	6,362,600	-
კაპიტალი 2021 წ. 31 დეკემბრით	-	6,341,290	- 102,569

საწარმოს დირექტორი
 კონსტანტინე რაზმაზიშვილი

შპს პლაზა+ (ინდივიდუალური)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

პლაზა+ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართია და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი ილია ვეკუას 14.

მისი ძირითადი საქმიანობაა ფართების გაქირავება და ექსპლოატაცია და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

სამუშაო ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან ის წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

თავდაპირველი აღიარება

საწარმომ უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებს თავდაპირველი აღიარებისას ასახავს სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ იყენებს უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსს, ოპერაციის თარიღისათვის.

წარდგენა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმო:

- (ა) უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაიყვას საბოლოო სავალუტო კურსის
- (ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულებით, საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან

დარიცხვის მეთოდი

ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოამზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადებულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარის გათვალისწინებით როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ანგარიშგება.

საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ რადგან მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობა გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტი კალენდარულ თვეს მოიცავს, თუმცა შეზღუდული არ არის ამ პერიოდით.

ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს (მათ შორის, შესადარისი ინფორმაცია) საწარმო ადგენს წლიურ საფუძველზე და წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

2021 წლის ანგარიშგებები მომზადებულია სტანდარტულ პერიოდზე და მოიცავს ზუსტად კალენდარულ წელს - 12 თვეს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება,

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასებებსა საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით, არაფინანსური აქტივების შეფასება შემდეგი საფუძველით:

(ა) ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი),

(ბ) მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ამონაგების აღიარება

საიჯარო შემოსავლებიდან ამონაგები აღიარდება ყველა დასრულებული თვისათვის, წრფივი მეთოდის გამოყენებით და საიჯარო ხელშეკრულების მთელი პერიოდის პროპორციულად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის მანძილზე განაწილებული მოგების ოდენობას - ესტონური მოდელის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ნაშთის შემცირებადი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

20 პროცენტი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

20 პროცენტი

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ ლოგოს დიზაინის მომსახურებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება არ ხდება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

ჩამოწერის თვითღირებულება გაიანგარიშება 'საშუალო შეწონილი მეთოდის' გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელის

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო აფასებს მას გარიგების ფასით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აფასებს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ,

(ა) სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით,

3. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ აქვს ასახული ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშში, მაგრამ მის გარეთ გვინდა განვმარტოთ რომ საწარმომ 2017 წელს მოახდინა დებოტორული დავალიანების ჩამოწერა 512 530 ლარს ოდენობით, ერთ კონკრეტულ კლიენტზე, როგორც უიმედო ვალი, რადგან ამ პირზე მიმდინარეობს გაკოტრების საქმე და საწარმო მე-7 რიგის პრეტენდენტია და სავარაუდოთ ვერ მოხდება ამ თანის ამოღება. თუმცა სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებაზე ამ მოთხოვნას როგორც პირობითი აქტივს შენიშვნებში განვმარტავთ.

ამონაგები

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქციოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

4. ამონაგები

	2019 1 ლარი	2020 1 ლარი	2021 1 ლარი
ფართების გაქირავების შემოსავალი	1,002,982	724,413	1,168,383
პარკირების შემოსავალი	36,643	38,533	77,704
ფეი ბოქსის შემოსავალი	177	768	224
ყავის აპარატის შემოსავალი	0	0	3,999
სხვა შემოსავლები	15,518	2,263	475
კომუნალური მომსახურების შემოსავალი	5,297	0	0
სარემონტო სამუშაოს მიწოდება	1,217	47,458	254
	1,061,835	813,434	1,251,038

5. სხვა შემოსავალი

2021 წელს სხვა შემოსავალში აღებული საშემოსავლო გადასახადში საწარმოებუსათვის დაწესებული შეღავათი 6069 ლარი, და კურსთაშორის სხვაობებით გამოწვეული გადაფასების შემოსავლები (მოგება) 149 ლარი.

6. სხვა ხარჯები

შემდეგი ხარჯები აღიარებულ იქნა სხვა ხარჯად:

	2019 1 ლარი	2020 1 ლარი	2021 1 ლარი
დაზღვევის ხარჯები	7,940	7,200	7,503
საიჯარო ქირა	2,847	8,844	8,715
საპენსიო შენატანი	4,811	5,237	-
დაცვის მომსახურების ხარჯი	5,085	2,034	1,322
კომუნიკაციის ხარჯები	2,194	1,566	1,630
კომუნალური ხარჯი	349,131	281,570	575,378
დასუფთავების ხარჯი	15,797	21,435	29,257
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	20,698	13,703	17,995
სამეურნეო საქონელი	1,199	5,006	1,252
საწვავის ხარჯი	-	372	1,326
რემონტის ხარჯი	82,144	63,400	45,956
საკონსულტაციო ხარჯები	5,586	11,679	13,146
სარეკლამო ხარჯი	2,714	1,291	781
სხვა საგადასახადო ხარჯი	48,726	43,163	48,119
ბანკის საკომისიო	452	695	458
სხვა საერთო ხარჯი	3,046	2,725	3,314
	552,368	469,920	756,152

სხვა ფინანსური ხარჯები

სხვა ფინანსური ხარჯები წმინდა ფინანსური ოპერაციებია და შედგება შემდეგი ხაჯისა და ზარალის მუხლებისაგან: ზარალი ინვესტიციის გაყიდვიდან 94 540 ლარი, ზარალი დებიტორული დავალიანების ჩამოწერიდან 124 226 ლარი, გადაფასების ზარალი 898 ლარი

7. მოგების გადასახადის ხარჯი

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი და ვალდებულება არ წარმოიშვება, რადგან საწარმოზე ვრცელდება ესტონური მოდელი და მოგების განაწილება არ მომხდარა.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

	2019 1 ლარი	2020 1 ლარი	2021 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	153,187	221,322	89,121
საქვეანგარიშო პირის თანხები	- 76	- 840	327
წინასწარი გადახდები	278,201	1,881	46
საოპერაციო დეპოზიტები	3,762	1,956	1,520
	435,074	224,319	91,014

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019 1 ლარი	2020 1 ლარი	2021 1 ლარი
ნედლეული და მასალები	8,943	9,211	9,211
დაუმთავრებელი წარმოება	122,280	-	18,275
მზა პროდუქცია	22,544	22,544	22,544
სხვა მარაგები	95	201	549
	153,862	31,955	50,578

10. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები

კომპანია წლის დასაწყისიდან ფლობდა წილს შვილობილ საწარმოში, რომლი 2021 წლის მანძილზე გაიყიდა.

11. ძირითადი საშუალებები

	2019 1 ლარი	2020 1 ლარი	2021 1 ლარი
მიწა - საწყისი	1,156,240	1,156,240	1,156,240
შემოსვლა/გასვლა	-	-	-
წლიური ცვთა	-	-	-
ცვთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	1,156,240	1,156,240	1,156,240
შენობა/ნაგებობები - საწყისი	4,567,271	4,367,201	4,660,812
შემოსვლა/გასვლა	30,010	539,100	-
წლიური ცვთა	230,081	245,489	233,179
ცვთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	4,367,201	4,660,812	4,427,632
მანქანა დანადგარები - საწყისი	194,032	169,879	140,410
შემოსვლა/გასვლა	18,623	5,633	9,546
წლიური ცვთა	42,776	35,102	29,991
ცვთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	169,879	140,410	119,964
ოფისის აღჭურვილობა - საწყისი	16,508	7,857	7,370
შემოსვლა/გასვლა	38	1,356	1,979
წლიური ცვთა	8,689	1,843	1,870
ცვთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	7,857	7,370	7,479
ავეჯი და ინვენტარი - საწყისი	76,822	38,053	34,555
შემოსვლა/გასვლა	670	5,140	29,030
წლიური ცვთა	39,438	8,639	24,505
ცვთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	38,053	34,555	39,079

12. არამატერიალური აქტივები

შედგება საწარმოს ლოგოსგან რომელსაც არ აქვს განსაზღვრული გამოყენების ვადა, მისი ამორტიზაცია არ ხდება.

13. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები და მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

როგორც საწყისი ასევე საბოლოო სავაჭრო ვალდებულებები არის მხოლოდ საანგარიშგებო ვალუტაში ნომინირებული.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სასაწყობე ფართი და მიწის ნაკვეთი, ამ იჯარის საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

მიმდინარე წელს ხარჯებად აღიარდა 8714 ლარს, ხოლო საიჯარო ვალდებულებები წლის ბოლოსათვის არ ირიცხება.

14. სააქციო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ნაშთი შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან.

წლის განმავლობაში ერთი დამფუძნებელი გავიდა საწარმოდან,

დამფუძნებელმა წილის განმავლობაში განახორციელეს დამატებითი შენატანი 3 362 600 ლარს ოდენობით.

ამავდროულად საწარმომ გაყიდა შვილობილ საწარმოში წილი და მირებული თანხა დაუბრინა დამფუძნებლებს, ეს გადახდა არის კაპიტალის შემცირება საწარმოში და შეადგინა 37 300 000 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი და არა-მაკორექტირებელი მოვლენები

არანაირი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები არ გამოვლენილა 2021 წლის დასრულების შემდგომ.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 30 სექტემბერს.

საწარმოს დირექტორი
კონსტანტინე რაზმაზიშვილი

